სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9

2011 წლის 31 მარტი

ქ.სიღნაღი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი(ქონების) გადასახადის შემოღებისა და განაკვეთების განსაზღრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7, 202-ე და 204-ე მუხლების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის წლიური საბაზისო განაკვეთების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 23 დეკემბრის №394 დადგენილების შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. შემოღებულ იქნეს ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთები სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დანართის შესაბამისად:

2.ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 24 მარტის №7 დადგენილება „სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადების შემოღების შესახებ“.

3.ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2011 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ საგადასახადო ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ზ. ზედელაშვილი

დანართი

ადგილობრივი (ქონების) გადასახადის განაკვეთები

მუხლი 1

საწარმოსათვის/ორგანიზაციისათვის ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების ღირებულების 1 პროცენტი.ამ მუხლის მიზნებისათვის დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიურისაბალანსო ნარჩენი ღირებულება,რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში უნდა გაიზარდოს:

ა) 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე 3-ჯერ;

ბ)2000წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე-2–ჯერ;

გ)2004 წელს მიღებულ აქტივებზე –1,5-ჯერ;

დ) იმ აქტივებზე,რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს -3-ჯერ.

მუხლი 2 საწარმოსთვის/ორგანიზაციისთვის ლიზინგით გაცემულ დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთია დასაბეგრი ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების 1 პროცენტი.

მუხლი 3

ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთებია:

ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.1 პროცენტი;

ბ) 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსთვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0.9 პროცენტი.

მუხლი 4

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი ერთ ჰექტარზე შეადგენს:

ა)სათიბებზე (მათ შორის გაკულტურებული სათიბებისათვის) –20 ლარს;

ბ) საძოვრებზე (მათ შორის გაკულტურებული საძოვრებისათვის) – 16 ლარს;

გ) სახნავი (კარგი და მწირი ხარისხის) და სხვა კატეგორიის სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწებზე – 86 ლარს;

მუხლი 5

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ტერიტორიული კოეფიციენტი შეადგენს 0,29-ს

№	ტერიტორია	საბაზისო განაკვეთი (ლარი)	ტერიტორიული კოეფიციენტი	გადასახადის განაკვეთი (ლარი)
1	სიღნაღის მუნიციპალიტეტი	0,24	0.29	0,07

მუხლი6

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი(ერთ კვ.მეტრზე განისაზღვროსტერიტორიული კოეფიციენტის გამრავლებით საბაზისო განაკვეთზე 0,24.

მუხლი 7

ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი მიწების ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთია 3 ლარი.

მუხლი 8

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ქონების გადასახადიდან გამომდინარე, ქონების გადასახადისგან თავისუფლდება სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული (საკარმიდამო) და მრავალბინიან სახლებში მცხოვრები ფიზიკური პირების თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთები.

ამ მუხლის პირველი პუნქტით შეღავათები არ ვრცელდება იმ საცხოვრებელ სახლებზე მიმაგრებული (საკარმიდამო) და მრავალბინიან სახლებში მცხოვრები ფიზიკური პირების თანასაკუთრებაში არსებული ფართობის პროპორციულად განსაზღვრულ მიწის ნაკვეთებზე, აგრეთვე ავტოფარეხებზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გამოიყენება კომერციული (სამეწარმეო) მიზნებისათვის.

მუხლი 9

ქონების გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებული ქონების სახეები, დადგენილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 205-ე და 206-ე მუხლებით.